დანართი N 5 - ტურისტული სერვისების ინდუსტრია (თემატური პარკები და სათავგადასავლო ტურიზმი)

1. R 93.11 სპორტული ობიექტების საქმიანობები
2. R 93.12 სპორტული კლუბების საქმიანობები
3. R 93.13 ფიტნესის ობიექტები
4. R 93.19 სხვა სპორტული საქმიანობები
5. R 93.21 გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები
6. R 93.29 გართობის და დასვენების სხვა საქმიანობები
7. R 90 შემოქმედებითი, სახელოვნებო და გართობის საქმიანობები
8. R 91.02 მუზეუმების საქმიანობა
9. R 91.03 ისტორიული ადგილების და ნაგებობების და მსგავსი კულტურის ძეგლების ექსპლუატაცია

ზემოთაღნიშნული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურული ბაზა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა. სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით ობიექტი უნდა უზრუნველყოფდეს:
– ობიექტზე მე-3 პირის (სტუმრის) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა
– ჯგუფური ტურისტული აქტივობების შემთხვევაში ერთდროულად (დროის ერთ მონაკვეთში) არანაკლებ 20 ადამიანის მომსახურებას
– ინდივიდუალური ტურისტული აქტივობების შემთხვევაში ერთდროულად (დროის ერთ მონაკვეთში) არანაკლებ 5 ადამიანის მომსახურებას
ბ. თემატური პარკების ეთნო/ეთნოგრაფიული პარკების მიმართულებით ობიექტი უნდა უზრუნველყოფდეს:
– ძველი დროის პერიოდის სიმულაციას, რომელიც გამოხატავს ძველი ტრადიციების და კულტურის, ბუნებრივი და ისტორიული გარემოს იმიტაციას.

ლიფტი – თუ შენობა 2-ზე მეტსართულიანია. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიფტი არაეფექტურია ტექნიკურ-ეკონომიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით და არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობა (რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტაციით): შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული მახასიათებლებიდან გამომდინარე, სალიფტე შახტის შესრულება შეუძლებელია; შენობა-ნაგებობა განლაგებულია ისეთ რთულ რელიეფზე (ფერდობზე, ტერასაზე და სხვა), რომელიც არ იძლევა სალიფტე შახტის შესრულების საშუალებას; არ შეესაბამება შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და საყოფაცხოვრებო ნორმებს; თუ შენობა-ნაგებობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და მისი ადაპტაცია გამოიწვევს ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას.

სანიტარიული კეთილმოწყობა და ელექტრომომარაგება:
ობიექტზე გარე განათება;
შენობის შიდა ფართობის განათება;
სანიტარიული კვანძი მისაღებ სივრცეში (ხელსაბანი, უნიტაზი, ასევე საჭიროების შემთხვევაში (Wake Park) საშხაპე);
ოთახ(ებ)ის, პავილიონ(ებ)ის და სანიტარიული კვანძის სათანადო განათება და ელექტრომომარაგება.

ხმაურის კონტროლი/ჰაერის კონდიცირება:
ობიექტის კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა), საჭიროების შემთხვევაში აღჭურვილი ინდივიდუალური მართვის საშუალებებით;
დამხმარე ოთახებისა (საჭიროების მიხედვით) და საზოგადოებრივი ადგილების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა).

უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნა:
ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია ქართულ და უცხო ენებზე;
საევაკუაციო სქემა სტუმრისთვის თვალსაჩინო ადგილას.
პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის:
ობიექტზე ეტლით მისასვლელი პანდუსი;
ობიექტის შიგნით შეუფერხებელი გადაადგილება;
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ობიექტზე ლიფტით, ეტლით გადაადგილება;
კვების ობიექტი – სასადილო ან რესტორანი.